MES 7 22 0000184564

23/02/2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 9 თებერვალს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting https://us02web.zoom.us/j/89134672506?pwd=ekRZUmFCV1djRFA1SHVHL0syMUdmZz09
Meeting ID: 891 3467 2506
Passcode: 606982

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო ) წევრები:**

**ნანა ყუფუნია** - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;
**შორენა ჯაფარიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მარიამ ჩაგელიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია -** ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
**გიორგი ხიშტოვანი -** ა(ა)იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი / საბჭოს წევრი;
**ნინო კაკულია** - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
**დეა აბულაძე -** სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი

**ქრისტინა რზგოევა -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის
მოადგილე;
**ლონდა მინდიაშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნათია მჭედლიძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი -თამარ აფციაური

**სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“**
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - თეანა კუხილავა

**სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“**
დირექტორი - მათე ტაკიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ბაჩი მეგრელიშვილი

**სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“**
დირექტორი - მამუკა ჯანჯალაია
დირექტორის მოადგილე - თამარ შალვაშვილი
პროგრამის ხელმძღვანელი - მიხეილ სამხარაძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო ქიტიაშვილი

**სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“**
დირექტორი - ნინო ქავთარაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - მადონა გოგობერიშვილი
მარნეულის ლოკაციის წარმომადგენელი - ნინო ფარელიძე

**სსიპ - კასპის კოლეჯი**
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - დემეტრე დემეტრაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი - მარიამ აბელიანი

**ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

დირექტორი - მანანა მოისწრაფიშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი - შოთა მარგიშვილი

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:**

თეა ლილუაშვილი
მამუკა ხოშტარია
ირმა ღარიბაშვილი
თამარ რემიშვილი
ლევან მადათოვი
გიორგი ნაჭყეპია
მაია თოიძე
ნიკა ჯაფიაშვილი
ნინო ბოკუჩავა
ირმა ქორთუა
თამარ ზარანდია
იაზონ დანელია
ქეთევან ჯანელიძე
ტიტე ბოლქვაძე

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:10 საათი**

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი, 14:15 საათზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს **დეა აბულაძეს.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის №100 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის გახილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №173 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის გახილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №194 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის გახილვა;
4. სსიპ კოლეჯ „ლაკადასთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ „ლაკადასთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯ „სპექტრში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ მარნეულის მუნიციპალიტეტში, „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
8. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ კასპის კოლეჯისთვის „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ კასპის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
11. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
13. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
14. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.
შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა.

მისი განცხადებით, სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“დირექტორმა ითხოვა, რომ ცვლილება განხორციელებულიყო დღის წესრიგში და რიგით მე-11 და მე-12 საკითხი განხილულიყო მე-6 - სსიპ - კოლეჯ „სპექტრში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვის შემდეგ.
საბჭოს თავმჯდომარეს საწინააღმდეგო პოზიცია არ გამოუხატავს, მაგრამ მოითხოვა, რომ კოლეჯების წარმომადგენლებს დასტური გამოეხატათ, რაც გაკეთდა და საბჭოს სხდომა წარიმართა შეცვლილი დღის წესრიგით.

**განახლებული დღის წესრიგი :**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის №100 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის გახილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №173 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის გახილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №194 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის გახილვა;
4. სსიპ კოლეჯ „ლაკადასთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ „ლაკადასთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯ „სპექტრში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
9. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ მარნეულის მუნიციპალიტეტში, „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
10. სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ კასპის კოლეჯისთვის „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ კასპის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
13. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

14. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

**1. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;**

**2. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №173 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;**

**3. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №194 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;**

დღის წესრიგის 1-3 საკითხების წარდგენა მოახდინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის №532031 ბრძანების საფუძველზე, შეიცვალა სამოქალაქო განათლების მოდული, 2 კრედიტიანი მოდული ჩანაცვლდა 3 კრედიტიანი მოდულით, სამოქალაქო განათლების მოდული არის თითქმის ყველა მესამე დონის პროგრამაში და რამოდენიმე მეოთხე დონის პროგრამაში. აღნიშნული მოდულის ცვლილება განხორციელდა გასულ წელს, მაგრამ დაწესებულებებს განესაზღვრათ დირექტორის აქტით ვალდებულება, რომ 2022 წლის 1 ივნისამდე უნდა მოეხდინათ შეცვლილი მოდულის ჩანაცვლება შესაბამის პროგრამებში და წარმოედგინათ ინფორმაცია ცენტრში. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა , მათ შორის საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, მოხდინა ცენტრის ინფორმირება და მიმდინარე სხდომაზე სამსახურმა გამოიტანა სამ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. .

ნანა ყუფუნიამ, მიმართა ნანი დალაქიშვილს და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი საბჭოზე გამოსატანი არ იყო, აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებში დაფიქსირებულია კრედიტები, მაგრამ ეს ავტომატურად შესაძლებელია რომ შეიცვალოს და საბჭოს გადაწყვეტილება ამისთვის საჭირო არ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს დაჭირდებოდა იურისტების დასკვნაც. მისი პირველადი შეფასებით, ამ საკითხებზე მსჯელობა იყო არალოგიკური, იმიტომ რომ საბჭო არ არის ინიციატორი კრედიტების ცვლილებების. მისი თქმით, ცვლილებები განხორციელდა საბჭოსგან დამოუკიდებლად და შესაბამისად უნდა აისახოს სისტემაშიც საბჭოსგან დამოუკიდებლად. ნანა ყუფუნიამ მიმართა ნანი დალაქიშვილს, რომ ამ ტიპის ცვლილებები საბჭოზე უნდა წარმოდგენილიყო ერთ საკითხად და მხოლოდ მომხდარიყო საბჭოს ინფორმირება და ამის შესახებ ეცნობებოდა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასაც.

ნანი დალაქიშვილი დაეთანხმა აღნიშნულს. მისი განცხადებით, ამ საკითხს სამსახური განიხილავდა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემათანაც და იურისტებთანაც. 100 მეტი პროგრამის შესაბამის გადაწყვეტილებაში იყო ცვლილება შესატანი, ამჟამად

სამსახური ახდენდა იდენტიფიცირებას, თუ რომელ გადაწყვეტილებაშია ცვლილება შესატანი, შესაძლებელია ცხრილის სახით გამოტანილიყო საბჭოზე და შესაბამისი გადაწყვეტილება თანდართული ცხრილით გაგზავნილ იქნას სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის.
ნანი დალაქიშვლის განცხადებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი, მეორე და მესამე საკითხის გადაწყვეტილებების ცვლილება იმიტომ იყო აქტუალური, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ეს ცვლილება განახორციელა ტყიბულის ფილიალის სტუდენტებისთვის და აღნიშნული სტუდენტების მიბმა, ამ ეტაპზე, ვერ ხერხდება მოდულებზე, ამიტომ დაწესებულებამ მიმართა ცენტრს თხოვნით, რომ შესაბამის გადაწყვეტილებებში შესულიყო ცვლილება, ამიტომ ითხოვს ცენტრი საბჭოსგან ამ საკითხის ცალკე განხილვას.
ნანა ყუფუნიას განცხადებით, საბჭო არ იყო წინააღმდეგი აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისა, თუ კი ეს ცვლილებები მოექცეოდა სამართლებრივ ჩარჩოებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის №100 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე**: 9
**წინააღმდეგი**: 0

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის N100 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №173 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** 9
**წინააღმდეგი**: 0

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე

მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის N173 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №194 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე:** 9
**წინააღმდეგი**: 0

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის N194 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი3).**

**4. სსიპ-კოლეჯ "ლაკადასთვის" "ხის მხატვრული დამუშავების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს თეა ლილუაშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა „ხის მხატვრული დამუშავება“ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კოლეჯმა ჩაატარა პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული პროგრამის დამატება ინიცირებულია აფხაზეთის მთავრობის მიერ შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად. სამომავლოდ დაგეგმილია საგანმანათლებლო ჰაბის შექმნა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დანერგვა. კოლეჯი მდებარეობს 18 კილომეტრის მოშორებით ოკუპირებული ტერიტორიიდან. გარდა ამისა, დასახლების 60% -ზე მეტს შეადგენს იძულებით გადაადგილებული პირები, ხოლო ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო, რომელიც დევნილთა სააგენტოს მხარდაჭერით იქნა აშენებული კოლეჯიდან 7 კილომეტრის მოშორებით ფოცხო-ეწერის დასახლებაში, უშუალოდ გახლავთ დევნილთა დასახლება, სადაც არაერთი საცხოვრებელი ფართი იქნა გარემონტებული და საკუთრებაში გადაცემული დევნილთათვის.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პროგრამის განხორციელებაც, როგორც დანარჩენი სხვა, ხელს შეუწყობს დასახლებაში მცხოვრებ დევნილთა ინტეგრაციას ადგილობრივ დასახლებაში, მათ პროფესიის დაუფლებას, რაც თავის მხრივ იქნება საწინდარი თითოეულის დასაქმების. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის ოქტომბერში ჩატარებული კვლევის ანგარიში, რომლის მიხედვითაც გამოიკითხა სულ 40-მდე ადამიანი და მათგან 75% დადებითად დაასახელა აღნიშნული სპეციალობის განხორციელება.

დაწესებულებამ, წარმოადგინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის წერილი, რომლის თანახმადაც აფხაზეთის მთავრობა გამოთქვამს მზაობას უზრუნველყოს ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირთა, დევნილთა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ პირებისთვის პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სწავლის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში მათი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ტრანსპორტირება პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „ხის მხატვრული დამუშავება“ (III დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A და B გარემო. C გარემოს ვიზუალური შეფასება ვერ გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ დ ა .

დაწესებულებამ წარმოადგინა სახელოსნოს პროექტი და შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია C გარემოს შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა 2022 წლის 4 მაისამდე. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სსიპ - კოლეჯ ლაკადას საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიზნით გარემოს მოსაწყობად გამოეყო დაფინანსება 256,696 ლარის ოდენობით.

ექსპერტის თქმით, პირველ ეტაპზე კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს 15 ადგილზე. სწავლას განახორციელებს ორ ცვლაში. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას აღჭურვილობა შეძენილი არ აქვს. დაწესებულებამ წარმოადგინა ინდ.მეწარმეებთან გაფორმებული მემორანდუმები, მემორანდუმის თანახმად აღნიშნულ პარტნიორებთან განხორციელდება გაცნობითი პრაქტიკა, და უზრუმველყოფილი იქნება უსაფრთხო გარემო, ხოლო შრომის უსაფრთხოებისათვის საჭირო პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტებს უზრუნველყოს კოლეჯი.

ექსპერტის განცხადებით, მემორანდუმში არ არის განსაზღვრული მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, ინტერვიუსას პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა

განმარტა, რომ ერთ ჯერზე შეძლებს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში გეგმავენ ორი ჯგუფის მიღებას, ერთ მიღებაზე 15 პროფესიულ სტუდენტს.
ვიზიტის პერიოდში არ იყო მოწყობილი C ტიპის გარემო, რომლის აღჭურვის შესახებ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ (საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, თბილისი, 19 თებერვალი 2019 წ. N4283-IIს ) საფუძველზე საჭიროა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში აღიჭურვოს სახელოსნო, სახელოსნოს მოწყობის შემდეგ, აღჭურვილობის შესაბამისად შეიმუშაოს შრომის უსაფრთხოების წესები ამ C გარემოსათვის, ვინაიდან ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება ითვლება მომეტებული საფრთხის შემცველ ინდუსტრიად.

დარგის ექსპერტის - მამუკა ხოშტარიას განცხადებით, მსოფლიოში პანდემიასთან არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შესაბამისობის გეგმაში შეტანილი ვადა შეიძლება არ იყოს საკმარისი, იმისთვის რომ კოლეჯი აღიჭურვოს შესაბამისი ინვენტარით. მისი თქმით, ჩარხების დამზადების და მიწოდების დრო გაიზარდა.

ნანი დალაქიშვილი დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას და მოუწოდა დაწესებულებას ყურადღება გაემახვილებინა რისკებზე, რომლებიც დიდი ალბათობით შეიძლებოდა გაჩენილიყო. მისი განმარტებით, არსებობს რამოდენიმე შემთხვევა, რომ აღჭურვილობის შემოტანა შეფერხდა და კოლეჯს სხვა ალტერნატიული საშუალებების მოძიება მოუხდა, იმისათვის რომ მონიტორინგის ვადაში ჩატეულიყო. აქვე მიმართა საბჭოს წევრებს თხოვნით, რომ საბჭოს ჩატარების დღიდან 6 თვე გათვალისწინებულიყო მონიტორინგის ვადად.

ნანა ყუფუნიას განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდებოდა აღჭურვილობის მიწოდება კოლეჯისთვის, ასეთ დროს რომ დაეწყო პროგრამის განხორცელება, რა რისკები გაჩნდებოდა, ასევე, სწავლის მიზნებისთვის და განათლების ხარისხისთვის რამდენად სწორი იყო ეს ყოველივე.

შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამას იცნობდა. მისი თქმით, პროფესიული პროგრამები ისე იყო სტრუქტურირებული, რომ პირველი ორი თვე პრაქტიკულ სამუშაოებს სტუდენტი არ ახორციელებდა და აქედან გამომდინარე საფრთხე არ შეიქმნებოდა და რა დროსაც განუსაზღვრავდა საბჭო კოლეჯს, ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, აღჭურვილობა წლის ბოლომდე ჩამოვიდოდა.

დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, აღჭურვილობის თანხა განსაზღვრული იყო, რის შემდეგაც ინვოისები მიეწოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შესაბამისად კოლეჯს ეს ვადები ჰქონდა გათვლილი, რა ვადებზეც იყო საუბარი. მისი განცხადებით, პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ შეექმნებოდა, თუ კი შეღავათი იქნებოდა ვადების გადაწევასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ლაკადასთვის“ „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე:9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ (ს/კ:242728679) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი4).**

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამაზე 2.2. და 2.4 კომპონენტების შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 9 აგვისტოდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**5. სსიპ-კოლეჯ "ლაკადასთვის" "შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს თეა ლილუაშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტმა ისაუბრა „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. მისი განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიწერილი წერილი, თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი შედუღების სახელოსნოს პროექტირებისა და მშენებლობის საჭიროების შესახებ. წერილიდან დგინდება, რომ დაწესებულებამ სამინისტროს გადასცა საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი და ინვოისი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა წერილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „დეპარტამენტი გაეცნო წარმოდგენილ კორესპონდენციას, იზიარებს კოლეჯის ,,ლაკადა'' მოთხოვნას და თანახმაა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ზემოაღნიშნულზე განახორციელოს შესაბამისი რეაგირება“. დაწესებულების მიერ

წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია C გარემოს მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 4 მაისი. განსაზღვრულია შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და შესრულების ინდიკატორები. დაფინანსების წყაროდ განსაზღვრულია „საკუთარი სახსრები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება შესაბამისობის გეგმაში ასახული ვადების გათვალისწინებით.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ (III დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ სწავლებას განახორციელებენ ორ ცვლაში. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A და B გარემო. C გარემოს ვიზუალური შეფასება ვერ განხორციელდა. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარემოს მშენებლობა დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში და დასრულდება 6 თვეში.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა ექსპერტებს, რომ მათ არ აღუნიშნავთ სახელოსნო/გარემო, სადაც უნდა დამონტაჟდეს აღჭურვილობა, უკვე არსებობს თუ არა, ასევე, როგორი პარამეტრები და მოთხოვნები იყო იმ გარემოს მიმართ და აკმაყოფილებდა თუ არა მოთხოვნებს.

ირმა ღამიბაშვილის განცხადებით, C გარემოს შეფასება ექსპერტთა მხრიდან არ მომხდარა, ვინაიდან მშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა.

თეანა კუხილავამ განმარტა, რომ სახელოსნოს ტენდერი იყო გამოცხადებული, 8 თებერვალს დაუკავშირდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო დ აცნობა დაწესებულებას, რომ ტენდერი განთავსებული იყო შესაბამის გვერდზე.

ნანი დალაქიშვილმა მიმართა თეანა კუხილავას კითხვით, 6 თვეში სახელოსნო აშენდებოდა და აღიჭურვებოდა შესაბამისი ინვენტარით თუ ვერა..
რაზეც, თეანა კუხილავამ გააკეთა განმარტება, რომ აღჭურვილობის ნაწილში დაწესებულება სრულად იღებდა პასუხისმგებლობას და სახელოსნოსთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა კომუნიკაცია შესაბამის სააგენტოსთან და იმედი ჰქონდათ რომ აღნიშნულ ვადებში მოხერხდებოდა დამუშაოების დასრულება.

ნანა ყუფუნიამ მიმართა ექსპერტებს, თუ როგორ შეაფასეს ასრებული მდგომარეობა და მოხდა თუ არა შესაბამისობის გეგმის შეფასება ექსპერტთა მხრიდან.

ირმა ღარიბაშვილის განცხადებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ იქნა გადმოგზავნილი სახელოსნოს პროექტი, რომ ექსპერტებს დაედგინათ ფართობი და სიდიდე კონკრეტული გარემოსი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ **სსიპ - კოლეჯ „ლაკადასთვის“ „შედუღების“ პ როფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი** დამატებით ყოფილიყო შესწავლილი და საბჭოს მომდევნო სხდომებზე, გონივრულ ვადაში,

დაწესებულებას წარმოედგინა დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ ცალკე მდგარი შენობის აშენებასთან დაკავშირებით და გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხზე გადადებულიყო გონივრული ვადით.

**6. სსიპ - კოლეჯ „სპექტრში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს თამარ რემიშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში ცენტრი) დირექტორის ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით თამარ რემიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე) და ირმა ღარიბაშილი - დარგის ექსპერტი (წევრი), დაევალა სსიპ - კოლეჯ "სპექტრის" (შემდგომში კოლეჯი) საგანმანათლებლო პროგრამის „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია“ (ძირითადი დოკუმენტი, ადაპტირებული მოდულები, სასწავლო გეგმები ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე), საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა და საკითხის შესაბამისად ასახვა დასკვნის პროექტში და დასკვნაში (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე).
**წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია** - დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის ასაღებად; მიმდინარე დაწესებულებამ დააყენოს ინიცირება სსიპ განათლების ხარისხსი განვითარების ეროვნულ ცენტრში, რათა ცვლილება შევიდეს ჩარჩო დოკუმენტში და გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ საწარმოო პრაქტიკის მოდულში საათების განაწილების ფორმაში გასწორდეს-შეიცვალოს საკონტაქო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. მოდულში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, რეკომენდირებულია გასწორდეს პროგრამის სასწავლო გეგმაც პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გასვლამდე. სასწავლო გეგმის შესაბამისად საწარმოო პრაქტიკა იწყება 41-ე კვირას, და გრძელდება 6 კვირის განმავლობაში.
აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულემამ შეასრულა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს შესრულებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის 19 ნოემბერს ჩატარებული კოლეჯ „სპექტრის“ ძირითადი სასწავლო „A“, სასწავლო-საწარმოო „B“ და სასწავლო - პრაქტიკული „D“ კორპუსების შენობა-ნაგებობების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისას (გამოკვლევისას) დადგენილი სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებები. შესაბამისად, დარღვეულია შესრულების ვადები. თუმცა აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ დახმარების მიზნით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარება სთხოვა როგორც სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობაზე, ასევე ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით და წარუდგინა შესასყიდი ინვენტარის ინვოისები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოახდინა რეაგირება და მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით შემდგომი რეაგირების მიზნით.

ამის შემდეგ პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების დირექტორმა. მისი განმარტებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციები არის სარეკომენდაციო ხასიათის, 2022 წლიდან ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას საგანგებო სამსახურის მიერ მოეთხოვება იმ სტანდარტების შესრულება, რომლითაც შესაბამისად სარგებლოს 2022 წლიდან საგანგებო სიტუაციების სამსახური. რაც შეეხება დაწესებულებას, განხორციელდა ფასთა კვოტირება და ფასთა კვლევა, დაწესებულებამ შეისწავლა ბაზარი სრულად, ამის შემდგომ ყველაზე გამოცდილ კომპანიას მისცა დაწესებულებამ დაკვეთა, რომლის მიხედვითაც მოხდა მთლიანი შენობების სრული პროექტირება და ხარჯთაღრიცხვა, ხარჯთაღრიცხვა ავიდა 140 000 ლარზე. დაწესებულებამ შესაბამისი პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და ფასთა მოკვლევები წარადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, შესაბამისად აღნიშნული გადაგზავნილია სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში და დაწესებულება ელოდება, რომ პირველივე სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად დანიშნულ იქნას შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მოწოდება. მისი განმატებით, შესაძლოა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ გამოაცხადოს ტენდერი, ასევე შესაძლოა თანხა დაერიცხოს დაწესებულებას და შემდგომ თავად გამოაცხადოს ტენდერი.
დაწესებულების დირექტორის განცხადებით, საგანგებო სიტუაციების სამსახურთან კოლეჯს აქვს მუდმივი კომუნიკაცია, დაწესებულებას მიწვეული ჰყავდა საგანგებო სიტუაციების სამსახურის ხელმძღვანელი, რომელმაც აღნიშნა, რომ როდესაც ახალი სტანდარტები 2022 წლიდან ამოქმედდებოდა, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცემოდათ 6 თვის ვადა და ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება შეასრულბდა მათ მიერ დადგენილ სტანდარტებს.
დაწესებულების დირექტორის განცხადებით, პროექტი რომელიც დამუშავდა ერთერთი კომპანიის მიერ დაფუძნებული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტანდარტებზე და ამავდროულად შეთანხმებულიც. ამჟამინდელი სიტუაციიდან გამომდინარე, დაწესებულების დირექტორის თქმით, კოლეჯი, ისევე როგორც ყველა სხვა დაწესებულება,ზუსტად იმსტანდარტებით არის გაკეთებული რომლებიც ამ დროისთვის მოქმედებს.

ირმა ღარიბაშვილმა დამატა შემდეგი მოსაზრება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მიწერილობა იყო სამ კორპუსთან მიმართებაში, ეს იყო A,B და D კორპუსები,

აღნიშნულ მიწერილობაზე დაყრდნობით იყო ჩანაწერი *„სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებები“*, აღნიშნული ჩანაწერი სარეკომენდაციო სახით არ იქნა ექსპერტის მიერ შეფასებული.

ნანი დაქალქიშვილის განცხადებით, რამოდენიმე საბჭოზე ამ ტიპის საკითხებმა სხვადასხვა კოლეჯებისთვის წარმოაჩინა ზოგადი პრობლემა, ამიტომ სამსახური შეხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სსიპ-ის ხელმძღვანელს, რომელთანაც სამსახურმა გაიარა კონსულტაცია. ცენტრის მიდგომა იყო, რომ ამ ნაწილში თუ არსებობდა მიწერილობა, რომლის ვადებშიც განსაზღვრული იყო შესასრულებელი საკითხები, ამით კმაყოფილდებდნენ ხშირ შემთვევაში ექსპერტები და ხარვეზის იდენტიფიცირებას აღარ ახდენდნენ. ცენტრის მიდგომა შეიცვალა და მობილიზებულია ყველა, დაწესებულებებს ხელი უნდა შევუწყოთ ეტაპობრივად დააკმაყოფილონ ის მოთხოვნები რის ეტაპობრივ დაკმაყოფილებასაც საგანგებო სიტუაციების სამსახური მოიხოვს ამ ეტაპზე.
ამის შემდეგ მიმართა საბჭოს თხოვნით, დაწესებულებისთვის მიეცათ 6 თვიანი ვადა და 6 თვის ვადაში გადამოწმებულიყო აღნიშნულის შესრულება.

**სხდომა დატოვა სპექტრის საკითხის განხილვისას გიორგი ხიშტოვანმა.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.

ნანა ყუფუნიამ დააფიქსირა საბჭოს პოზიცია. მისი განცხადებით, საბჭო მოკლებული იყო შესაძლებლობას განესაზღვრა ზუსტი ოპტიმალური ვადა დაწესებულებისთვის, იმისთვის რომ შესრულებულიყო რეკომენდაციები. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის არანაირი საშიშროება არ იდგა სწავლის შეწყვეტასთან დაკავშირებით, არც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მხრიდან.

შორენა ჯაფარიძემაც დააფიქსირა პოზიცია, რომ საბჭოს ამგვარად გადაწყვეტილების მიღება, იმის საფუძველზეც მოხდა, რომ ფინანსური უზრუნველყოფა ყველა აღნიშნული პროცესებისა, უზრუნველყოფილი იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ მონიტორინგის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „სპექტრში“ (ს/კ: 208183605) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ აღნიშნულ საკითხებზე, პერიოდულად განხორციელდეს ინფორმაციის მიწოდება საბჭოსთვის, იმის თაობაზე, თუ რა მიდგომა იქნება მსგავს საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული და ცნობის სახით ანგარიში მიაწოდოს

საბჭოს, იმის შესახებ, როდის შესრულდება რეკომენდაციები და რა წინაპირობა ექნება აღნიშნულს.

**7. სსიპ-კოლეჯი "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;**

**8. სსიპ-კოლეჯი "ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ლევან მადათოვს და წარმატებები უსურვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, განმარტა, რომ ერთი პრეზენტაციით წარმოადგენდა ორივე საკითხს და და განხილვა დაიწყო ვიზიტების საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი ,, კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მოდულური მიდგომით ახორციელებს 2018 წლიდან, ხოლო 2021 წლისათვის ასევე დუალური მიდგომით, აღნიშნული განაცხადით ხდება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული როდენობის გაზრდა, ვინაიდან ასევე წარმოდგენილია განაცხადი საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია განაცხადის გაზრდა 84 სტუდენტით ინტეგრირებული ჯგუფებისათვის (6 - 14 კაციანი ჯგუფი) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიებში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (სულ 180 პროფესიული სტუდენტი,) გათვალისწინებით. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორებთან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, შპს ,,ახალი ქსელები“, შპს ,,ორიენტ ლოჯიკი“ შპს ,,სქაი ჰაი“ შპს ,,გრინნეტი“ შპს ,,სმარტ ლოჯიკი“. დუალური მეთოდით პროგრამა ხორციელდება ასევე პარტნიორის ბაზაზე (შპს - Cloud 9) რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით

გათვალისწინებული პროფესიული მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (180 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

ექსპერტის განცხადებით, ,,კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი ინტეგრირებული ჯგუფებისთვის) ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებელთა თაობაზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადის დანართის სახით, ასევე, ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან კონკურსის/გასაუბრების გზით, ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილიარიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. რაც დასტურდება პირადი საქმეების შესწავლითა და მათთან გასაუბრებით.
ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია პროგრამასთან ერთად ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმების და შეფასების ინსტრუმენტებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯში არსებული ნებისმიერი კომპიუტერიდან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და ზოგად მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში. ასევე, ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

**სხდომა დატოვა ქრისტინე რზგოევამ.**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) დანართით განსაზღვრულ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 180-ით **(დანართი 5).**
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიას“ (ს/კ: 205339944) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 6).**

**9. სსიპ-კოლეჯ "მოდუსისთვის" მარნეულის მუნიციპალიტეტში "მეხილეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მაია თოიძეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ კოლეჯ ,,მოდუსში“ ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემდეგი შემადგენლობით: თოიძე მაია - ჯგუფის თავმჯდომარე; ჯაფიაშვილი ნიკა - ჯგუფის წევრი, განხორციელდა ,,მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტის განმარტებით, კოლეჯი პროგრამას იმატებს მარნეულის მუნიციპალიტეტის მისამართზე (იაღლუჯის დასახლება). ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების 2021 წლის 15 ნოემბრის MES 7 21 0001223137 კორესპონდენციით წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია.
**შესაბამისობის რეკომენდაცია 2.2.1 (1) -** დაწესებულებამ განაცხადის დანართად წარმოადგინა სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ 2021 წლის 12 ნოემბრის №345 ბრძანებით დამტკიცებული ,,2021 წლის გაუმჯობესების გეგმა“, რომლის მიხედვით ,,მეხილეობის“ პროგრამის აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 30 აპრილს. შესაბამისად, განაცხადით დაწესებულებას პროგრამა 2.2. კომპონენტის ნაწილში შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტები ეთანხმებიან აღნიშნულ შეფასებას და დაწესებულებას აძლევენ შესაბამისობის რეკომენდაციას მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის მატერიალური რესურსის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.
განმავითარებელი რეკომენდაციები - რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმასთან დაკავშირებით - ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმის დასახელებასა და იდენტიფიცირებული პრობლემის ფორმულირებასთან დაკავშირებით, რომელიც მიზანშეწონილია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამომავლოდ სხვა გეგმების შემუშავებისას. როდესაც სტანდარტთან/კომპონენტთან მიმართებაში არ არის სრული შესაბამისობა, ამ შემთხვევაში იწერება ,,შესაბამისობის გეგმა“ და არა ,,გაუმჯობესების გეგმა“, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია წარმოდგენილი ასევე, რეკომენდებულია,

იდენტიფიცირებულ პრობლემაში დაფიქსირდეს ავტორიზაციის რომელ სტანდარტთან/კომპონენტთან/კრიტერიუმთან არის შეუსაბამობა. ასევე, როცა შეუსაბამობა შესყიდვებთანაა დაკავშირებული, რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმას ყოველთვის დანართის სახით თან ახლდეს შესასყიდი აღჭურვილობის ნუსხა, რათა შესაბამისობის გეგმა იძლეოდეს სრულ სურათს, რით არის გამოწვეული შეუსაბამობა.

**2.1.1 (3) - რეკომენდებულია,** რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ჩანაწერი, რომ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა, დაზუსტდეს, რომ კონტინგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა.

**2.1.1 (8)** - იმ მოდულებში, რომელთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება დაგეგმილია პარტნიორი კომპანიების ბაზაზე, მოდულებში განხორციელების ადგილად დაემატოს პარტნიორი კომპანია. ასევე, მოდულის განხორციელების დამატებით მიდგომებში აისახოს ინფორმაცია რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა პარტნიორი საწარმოს ბაზაზე.

**2.1.1. (8) -** არსებული covid პანდემიის გათვალისწინებით, ,,მეხილეობის" პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე სამუშაო ჯგუფმა გაანალიზოს ცალკეული მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობა და აისახოს ინფორმაცია მოდულის განხორციელების დამატებით მიდგომებში.

**2.2. 1 (5) -** მოდულებში მითითებული ყველა სასწავლო რესურსი ელექტრონულია, რაც არ არის მოდულში აღნიშნული. კოლეჯმა უზრუნველყოს სასწავლო რესურსის ფორმის (ელექტრონული) თაობაზე მოდულებში ინფორმაციის ასახვა.

**2.3.1. (1) -** კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმით გათვალისწინებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაოდენობრივი კვლევებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია კოლეჯმა რაოდენობრივი კვლევები ჩაატაროს ელექტრონულად. ტექნიკური უზუსტობებთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს დოკუმენტებში არსებული რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა.

ექსპერტის განცხადებით, ,,მეხილეობის" ინტეგრირებული პროგრამისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ერთი A, ერთი B, ერთიც A/C გარემო, და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის ( 93. კვ. მ). კოლეჯს აქვს 240 კვ. მ სათბური, რომლის სასწავლო ბაზად გამოყენება გათვალისწინებულია ,,მებოსტნეობისა" და ,,მეხილეობის" პროგრამებისათვის. პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს ორი პარტნიორი: შპს ,,მარნეული აგრო" და ფ/პ - ,,ა. ვ", რომელთა ბაზებზეც გათვალისწინებულია ცალკეული პროფესიული მოდულების პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა. პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმებით არ არის განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტებზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობა. ამასთან, ვიზიტის დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა მემორანდუმების საფუძველზე 2022 წლის 14 იანვარს პარტნიორებთან გაფორმებული შეთანხმებები, რომლებითაც დაზუსტდა პარტნიორთა მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა. თითოეული პარტნიორი აცხადებს მზაობას პრაქტიკული სწავლებისათვის კომპანიის ბაზაზე მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი. ინტერვიუ შედგა შპს ,,მარნეული აგროს" წარმომადგენელთან, რომელმაც დაადასტურა მზაობა პრაქტიკულ სწავლებაზე მიიღონ მაქსიმუმ 30 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კვოტის დასაბუთება. განაცხადით კოლეჯი კვოტას სრულად ითხოვს ინტეგრირებული მიდგომისათვის. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, კოლეჯი გეგმავს ,,მეხილეობის" ინტეგრირებული პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი აითვისონ ორი მიღების ფარგლებში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ოდენობას განსაზღვრავს შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. ამასთან, რეკომენდებულია, რომ კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ჩანაწერი, რომ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია

პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა, დაზუსტდეს, რომ კონტინგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა ( ის რაც რეალურად ხორციელდება).

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „მოდუსისათვის“ მარნეულის მუნიციპალიტეტში „მეხილეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62 - ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება მარნეულის მუნიციპალიტეტში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 7).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში კოლეჯ „მოდუსის“ „მეხილეობის“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 12 მაისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**10. სსიპ-კოლეჯ "მოდუსისთვის" "თმის მომსახურების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს მაია თოიძეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტის განცხადებით, ,,თმის მომსახურების“ მოდულური პროგრამისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ერთი A/C გარემო, ერთი B გარემო და ჰყავს ორი პარტნიორი, რომლებიც აცხადებენ მზაობას მოდულების: ,,პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება“ და ,,საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება“ ორ ცვლაში მიიღონ 20 -20 პროფესიული სტუდენტი. იმის გათვალისწინებით, რომ A/C გარემოში შესაძლებელია მხოლოდ 14 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სამუშაო ადგილის მოწყობა კოლეჯი ითხოვს კვოტას 28 პროფესიულ სტუდენტს (ორ ცვლაში-თითოეულ ჯგუფში მაქსიმუმ-14 პროფესიული სტუდენტი). აღსანიშნავია, რომ განაცხადსა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთებაში მითითებული იყო 30 პროფესიული სტუდენტი, რაც ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით ტექნიკური შეცდომაა და ითხოვენ კვოტა განისაზღვროს 28 პროფესიული სტუდენტით. ამასთან, ვიზიტის დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე 2022 წლის 13 იანვარს გაფორმებული შეთანხმებები, რომლებითაც სხვა საკითხებთან ერთად, დაზუსტდა პარტნიორთა მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულება
პ რ ო ფ ე ს ი უ ლ
სტუდენტთა ოდენობას განსაზღვრავს შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით. ამასთან, რეკომენდებულია, რომ კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში ჩანაწერი, რომ პროფესიულ სტუდენტთა ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა, დაზუსტდეს, რომ კონტინგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტების მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების დასახელებები, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A/C და B გარემო და ორი პრაქტიკის ობიექტი. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის №2 დანართი - პროგრამის აღჭურვილობა არ არის ადაპტირებული და დანართში წარმოდგენილია იმ ფორმით როგორც ეს არის საგანმანათლებლო სტანდარტში და ცალკეულ შემთხვევაში არ ჩანს პროგრამის ფარგლებში რა ოდენობის აღჭურვილობა იქნება საბოლოოდ წარმოდგენილი შესყიდვის შემდეგ. მაგალითად, ეს ეხება ისეთ ჩანაწერებს სადაც წერია ,,2 პროფესიული სტუდენტისათვის - 1 ცალი“. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დააზუსტეს რომ დანართში ტექნიკურად გამორჩათ რამდენიმე აღჭურვილობის რაოდენობის დაზუსტება და გააასწორებენ. რეალურად კი აღჭურვილობა A/C გარემოში გათვლილია ჯგუფში 14 პროფესიულ სტუდენტზე და შესაბამისად იქნება შესყიდული ,,თმის მომსახურების“ მოდულური პროგრამისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ორი გარემო: A/C გარემო (საერთო ფართით 81,93 კვ.მ. ) და B გარემო. მათ შორის, B გარემოს აღჭურვილობა გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო A/C გარემო გათვლილია ჯგუფში 14 პროფესიულ სტუდენტზე. კოლეჯს A/C გარემოსათვის აღჭურვილობა (გარდა მერხების, სკამებისა და კომპიუტერული ტექნიკისა) არ აქვს შესყიდული.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ განაცხადის დანართად წარმოადგინა სსიპ კოლეჯის ,,მოდესი“ 2021 წლის 12 ნოემბრის №345 ბრძანებით დამტკიცებული 2021 წლის გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედვით ,,თმის მომსახურების“ პროგრამის აღჭურვილობის შესყიდვა დასრულდება 2022 წლის 30 აპრილს.

შესაბამისად, განაცხადით დაწესებულებას პროგრამა **2.2.1 კომპონენტის ნაწილში შეფასებული აქვს როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და ექსპერტები ეთანხმებიან აღნიშნულ შეფასებას.** ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმის დასახელებასა და იდენტიფიცირებული პრობლემის ფორმულირებასთან დაკავშირებით, რომელიც მიზანშეწონილია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სამომავლოდ სხვა გეგმების შემუშავებისას. როდესაც სტანდარტთან/კომპონენტთან მიმართებაში არ არის სრული შესაბამისობა, ამ შემთხვევაში იწერება ,,შესაბამისობის გეგმა“ და არა ,,გაუმჯობესების გეგმა“. ასევე, რეკომენდებულია, იდენტიფიცირებულ პრობლემაში დაფიქსირდეს ავტორიზაციის რომელ სტანდარტთან/კომპონენტთან/კრიტერიუმთან არის შეუსაბამობა. ასევე, როცა შეუსაბამობა შესყიდვებთანაა დაკავშირებული, რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმას ყოველთვის დანართის სახით თან ახლდეს შესასყიდი აღჭურვილობის ნუსხა, რათა გეგმითვე იკვეთებოდეს რა მატერიალური რესურსი აკლია პროგრამას. იმის გათვალისწინებით, რომ განაცხადის თანდართულ ფორმაში (ასევე, პროგრამის №2 დანართით) ზუსტად ვერ დგინდება შესასყიდი ყველა აღჭურვილობის ოდენობა აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული იქნა შესაბამისი პასუხისმგებელი პირისაგან. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ სამსახურებრივი ბარათით მოთხოვნილი A/C გარემოსათვის შესასყიდი აღჭურვილობა/ინვენტარი გათვლილია ჯგუფში 14 პროფესიულ სტუდენტზე და კოლეჯი ,,თმის მომსახურების“ აღჭურვილობის შესყიდვის პროცედურის დაწყებისათვის ელოდება სამინისტროს წერილობით თანხმობას არსებული ფინანსური რესურსის ხარჯვაზე (71790 ლარი), რაზეც მოთხოვნა უკვე გაგზავნილი აქვთ. დისტანციურად განხორციელდა B გარემოსა და A/C გარემოს დათვალიერება და ექსპერტები ადასტურებენ, რომ გამოყოფილ A/C ფართში სრულიად დასაშვებია პროგრამის განხორციელება ჯგუფში 14 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო ორ ცვლაში - 28 პროფესიულ სტუდენტზე. ,,თმის მომსახურების“ პროგრამის ორი მოდულის ( პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება; საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება) პარტნიორ ორგანიზაციებში განხორციელებასთან დაკავშირებით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და შეთანხმებები. მემორანდუმებით პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია. შეთანხმებების მიხედვით, კომპანიები აცხადებენ მზაობას თითო ცვლაში მიიღონ მაქსიმუმ 10-10 პროფესიული სტუდენტი ( ჯამში - 40 პროფესიული სტუდენტი).

ექსპერტის განმარტებით, დისტანციურად განხორციელდა სალონების დათვალიერება. ორივე სალონის ფართი და სამუშაო ადგილების რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას შეუფერხებლად განხორციელდეს სტუდენტების სწავლება შეთანხმებული კვოტის ფარგლებში. თუკი შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, დაწესებულების და პარტნიორების სასწავლო გარემოს დათვალიერებისა და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული კრიტერიუმთან მიმართებაში პროგრამა არის ,,მეტწილად შესაბამისი“.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „მოდუსისთვის“ ქალაქ რუსთავში „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება ქალაქ რუსთავში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 8)**.
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „თმის მომსახურების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 12 მაისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**11. სსიპ- კასპის კოლეჯისთვის „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ირმა ქორთუას და წარმატებები უსურვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2022 წლის 12 იანვარს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა სსიპ-კასპის კოლეჯის „მებოსტნეობის" საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

ექსპერტის განცხადებით, განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ბიბლიოთეკართან. ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა, A, B, C სასწავლო გარემო. სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილი იქნა პროგრამაში ჩართულ პედაგოგებთან ჩატარებული ტრენინგების მტკიცებულებები, მატერიალური აღჭურვილობის შესყიდვის დოკუმენტაცია, სასწავლო გარემოს და აღჭურვილობების ფოტოები. დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1) კომპონენტის შესრულების უზურნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულებას, დირექტორის 15.11.2021 წლის N142 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები და თარიღები.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შესასრულებელი დავალებების შესრულების ვადა 2022 წლის 31 იანვარია. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნის პროექტებთან დაკავშირებით სსიპ კასპის კოლეჯის არგუმენტირებულ პოზიციის (No 72999 27/01/2022) ფარგლებში, წარმოდგენილი 27.01.2022, აღნიშნულია რომ ამ ეტაპზე კოლეჯს შესყიდული აქვს და ადგილზეა C გარემოსთვის საჭირო ყველა აღჭურვილობა. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაციები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე 2.2.1 ინდიკატორით მიცემული შესაბამისობის რეკომენდაცია შესრულებულია, ექსპერტებმა ჩავთვალეთ, რადგან ადგილზე არ გვინახავს ბოლოს შესყიდული მასალები და ასევე C გარემოს მოწყობა ჯერ არ დასრულებულა, აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი შეგვეფასებინა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა პოზიცია. მისი განცხადებით, „მებოსტნეობის“პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით მონიტორინგის განხორციელების მიზანშეწონილი არ იყო, რადგან ნივთი, რომლიც აკლდათ შეძენილი ჰქონდა დაწესებულებას.
ნანა ყუუნიამ მიმართა ნანი დალაქიშვილს დაედასტურებინა აღნიშნული.
ნანი დალაქიშვილმა დაადასტურა და განმარტა, რომ კოლეჯმა, გადმოაგზავნა ცენტრში არგუმენტირებული პოზიცია, პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი იყო შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლებიც გადაეგზავნათ ექსპერტებს შესასწავლად. ექსპერტებმაც დაადასტურეს, რომ ყველანაირი მოწყობილობა ადგილზე იყო.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის კოლეჯისთვის „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კასპის კოლეჯს (ს/კ:205405480) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 9)**.

**12. სსიპ-კასპის კოლეჯისთვის "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ირმა ქორთუას და წარმატებები უსურვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2022 წლის 13 იანვარს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა სსიპ - კასპის კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტმები" საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დისტანციური ვიზიტის ფარგლებში გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (როგორც დარგის ასევე ინტეგრირებულის), ბიბლიოთეკართან. ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა,

კოლეჯის ინფრასტრუქტურა, A, B, C სასწავლო გარემო. სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილი იქნა მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები პროვაიდერებთან, ინტეგირებულის მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მიღება-ჩაბარების აქტი, კომპიუტერების კონფიგურაციები; დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით“ და 2.2.1(1) კომპონენტის შესრულების უზურნველყოფის მიზნით წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულებას, დირექტორის 15.11.2021 წლის N142 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია სტანდარტის შესაბამისობის მოყვანაზე პასუხისმგებელი პირები და თარიღები. აღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შესასრულებელი დავალებების შესრულების ვადა 2022 წლის 31 იანვარია. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნის პროექტებთან დაკავშირებით სსიპ კასპის კოლეჯის არგუმენტირებულ პოზიციის (No 72999 27/01/2022) ფარგლებში, წარმოდგენილი 27.01.2022, აღნიშნულია რომ ამ ეტაპზე კოლეჯს შესყიდული აქვს და ადგილზეა C გარემოსთვის საჭირო ყველა აღჭურვილობა. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაციები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე 2.2.1(1) ინდიკატორით მიცემული შესაბამისობის რეკომენდაცია შესრულებულია, ექსპერტებმა ჩავთვალეთ, რადგან ადგილზე არ გვინახავს ბოლოს შესყიდული მასალები და ასევე C გარემოს მოწყობა ჯერ არ დასრულებულა, აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტიით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების სტანდართან შესაბამისობა შეგვეფასებინა მეტწილი შესაბამისობით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ლაბორატორიის აღჭურვილობა სრულად ადგილზე ჰქონდა კოლეჯს, უბრალოდ არ იყო სველი წერტილი მოწყობილი. ამჟამად სველი წერტილი მოწყობილი აქვს კოლეჯს, მხოლოდ დამადასტურებელი დოკუმენდაციის გადმოგზავნა ვერ მოხერხდა, იქიდან გამომდინარე ,რომ სამუშაოები დასრულდა ამა წლის 8 თებერვალს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კასპის

კოლეჯს (ს/კ:205405480) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ( **დანართი 10).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 30 მარტიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**სხდომას შემოუერთდა ქრისტინე რზგოევა.**

**სხდომა დატოვა დეა აბულაძემ.**

**13. ა(ა)-იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის "შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;**

**14. ა(ა)-იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ქეთევან ჯანელიძეს და წარმატებები უსურვა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, განმარტა, რომ ორივე საკითხს წარმოადგენდა ერთი პრეზენტაციით და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტების საერთო მიმოხილვით.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას საჭიროების შემთხვევაში

დამატებით მიმართული იყოს პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის N89 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 3-ის მიხედვით სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში, დღეში 12 საათიანი, კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება (იუს 21-036 15/09/2021) სს საქართველოს რკინიგზასთან. პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა შეადგენს 80-ს. თითოეულ მიღებაზე მოხდება 40 პროფესიული სტუდენტის მიღება. ჯგუფები დაკომპლექტდება 20-20 პროფესიული სტუდენტით. შესაბამისად, ხელშეკრულებით პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია. ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს იმ აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტები გამოიყენებენ პრაქტიკის ობიექტზე.
კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიული პროგრამის **„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“** გაუმჯობესების გეგმა(შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომლის თანახმად 2022 წლის 15 მაისამდე უნდა შეიძინოს გარემოსთვის განკუთვნილი პროგრამით გათვალისწინებული რესურსი.ექსპერტებმა მოცემული კომპონენტი შეაფასეს როგორც **მეტწილი შესაბამისობა.**

ირმა ღარიბაშვილი განცხადებით, ‘შედუღების“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო:

A გარემო - კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს ყოველ წელს 20 ადგილზე. სწავლა განხორციელდება შეჭრილ ცხრილით. შედგება 2 ჯგუფი, თვითოეულ ჯგუფში იქნება 10-10 პროფესიული სტუდენტი. ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.
B გარემო - გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/ კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ გარემო უზრუნველყოფილია კომპიუტერებით როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.
C გარემო - პრაქტიკის სივრცე მოწყობილია შენობის პირველ სართულზე. გარემო განკუთვნილია 2 სხვადასხვა პროგრამისთვის, თუმცა ერთმანეთს ხელს არ უშლის. გარემოს ფართია - 270 კვ.მ. მიმდინარე ეტაპზე გარემო არ არის აღჭურვილი შესადუღი აპარატურითა და დანადგარებით. ექსპერტთა შეფასებით გარემო გამტარუნარიანია ორი ჯგუფისთვის ერთცვლიანი სწავლის პირობებში. სწავლის დაწყებამდე C გარემო უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ - ტექნიკური რესურსით. გარემოში დამონტაჟებულია საერთო სავენტილაციო სისტემა და თვითოეული შესადუღი დანადგარის (6 ადგილზე) მიერთება განხორციელდება აღნიშნულ გამწოვზე ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა პრაქტიკის მოდულს არ მოიცავს და შესაბამისად

პრაქტიკის ობიექტზე გასვლა არ გახდება საჭირო. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრაქტიკულ კომპონენტებს პროფესიული სტუდენტები გაივლიან კოლეჯის ბაზაზე.
ექსპერტის განცხადებით, კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიული პროგრამის **„შედუღება“** გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა), რომლის თანახმად 2022 წლის 15 მაისამდე უნდა შეიძინოს C გარემოსთვის განკუთვნილი პროგრამით გათვალისწინებული რესურსი. ექსპერტებმა მოცემული კომპონენტი შეაფასეს როგორც **მეტწილი შესაბამისობა.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „შედუღების“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 11).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „შედუღების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 15 მაისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0
**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 12).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 15 მაისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, **6:45** საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
აბულაძე დეა

**დანართი 1**

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე /საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების ათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში 0723 | 97 | 112 | ქართული | 30 | ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68 |
| 2 | სამკერვალო წარმოება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723 | 100 | 115 | ქართული | 30 | ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68 |
| 3 | ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ბეჭდვით მედიატექნოლოგიებში 0211 | 90 | 105 | ქართული | 30 | ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68 |
| 4 | ავტომობილის ძრავის შეკეთება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716 | 58 | 73 | ქართული | 30 | ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68 |
| 5 | ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716 | 82 | 97 | ქართული | 30 | ქ. თბილისი. მ. კოსტავას ქ. №68 |

1. *- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;*
2. *- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

**დანართი 2**

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მღებავი (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732 | 59 | 74 | ქართული | 10 | ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი №4 |
| 2 | მებათქაშე (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 0732 | 59 | 74 | ქართული | 10 | ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი №4 |

1. *- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;*
2. *- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

**დანართი 3**

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | **პროგრამის დასახელება** | **პროფესიული განათლების დონე/საფეხური** | **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით** | **კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის** | **კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის** | **სწავლების ენა** | **ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების მისამართი/ მისამართები** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გრაფიკული დიზაინის შესრულება (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაციაციფრულ შესრულებაში 0211 | 90 | 120 | ქართული | 30 | მ. კოსტავას ქ. №68,I კორპუსი |
| 2 | ხის მხატვრული დამუშავება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214 | 90 | 105 | ქართული | 30 | მ. კოსტავას ქ. №68,I კორპუსი |
| 3 | სარკინიგზო გადაზიდვები (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში 1041 | 90 | 120 | ქართული | 30 | მ. კოსტავას ქ. №68,I კორპუსი |
| 4 | საბაჟო საქმე (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში 1032 | 93 | 123 | ქართული | 30 | მ. კოსტავას ქ. №68,I კორპუსი |

1. *- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;*
2. *- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.*

**დანართი 4**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ხის მხატვრული დამუშავება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0214 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი; ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. N2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტი; სოფ ფოცხოეწერი |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 105 |

**დანართი 5**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თბილისი, გ. ფანჯიკიძის ქ. №3 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური  და დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 180<br>(175 მოდულური<br>5 დუალური) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | -- |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | -- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | -- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 6**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | თბილისი, გ. ფანჯიკიძის №3 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური  და დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 180<br>(175 მოდულური<br>5 დუალური) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | 84 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 7**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მეხილეობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0811 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | 30 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 8**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | თმის მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას გამზ. N4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 28 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | -- |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | -- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | -- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |

**დანართი 9**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მებოსტნეობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0811 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. კასპი, აღმაშენებლის 168ვ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 15 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | -- |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | -- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | -- |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 75 |

**დანართი 10**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. კასპი, აღმაშენებლის 168ვ |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | 20 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 11**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შედუღება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0715 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 79 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 109 |

**დანართი 12**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0712 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 80 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |